

**აქციის  
„რეგიონებში „სტარტ +“ და „კომფორტი“ სპეციალურ ფასად“  
პირობები**

1. აქციის „რეგიონებში „სტარტ +“ და „კომფორტი“ სპეციალურ ფასად“ (შემდგომში „აქცია“) ფარგლებში, რეგიონებში, ინტერნეტ და სატელევიზიო მომსახურებ(ებ)ის მიღების მსურველი პირებისა და ამ მომსახურებების მიმღები აბონენტებისთვის, ორმაგი შეთავაზების "სტარტ +" და "კომფორტი" კომბინაციის პაკეტის ყოველთვიური ღირებულება განისაზღვრება 29 ლარით (გარდა კასპისა და სენაკისა), ხოლო კასპსა და სენაკში - 32 ლარით;
2. აქციაზე რეგისტრაციის, აქციაში ჩართული მომსახურებების ინსტალაციის და აქციის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 20 მაისიდან - 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;
3. მიუხედავად აქციაში ჩართვის დღისა (აქციაზე რეგისტრაციის/ინსტალაციის ვადის დასრულებამდე პერიოდში), აქციის მოქმედების ვადა არ შეიცვლება და აქციით სარგებლობა შესაძლებელი იქნება 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. აქცია ვრცელდება DSL / ოპტიკური სილქ ტვ მომსახურების (ან კომბინაციის/სპეციალური შეთავაზების, რომელიც მოიცავს სილქ ტვ-ს) მიმღებ აბონენტებზე;
4. აქციით სარგებლობას შეძლებენ შემდეგი პირები/აბონენტები:
  - 4.1. ოპტიკური ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებების მიღების მსურველი პირები, რომლებიც ერთვებიან ორმაგ შეთავაზებაში და რეგისტრირდებიან კომბინაციაზე "სტარტ + და კომფორტი";
  - 4.2. ოპტიკური ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებების მიმღები აბონენტები, რომლებიც სარგებლობენ ორმაგ შეთავაზების "სტარტ" + და "კომფორტი" კომბინაციით;
  - 4.3. კასპსა და სენაკში, ორმაგი შეთავაზების "სტარტ +" და "კომფორტი" კომბინაციის აბონენტები (რომლებიც რეგისტრირებული არიან 2018 წლის 11 ოქტომბრამდე და აღნიშნული პაკეტი მიეწოდებათ 27 ლარად).
5. რეგიონებში (გარდა კასპის და სენაკისა) ორმაგი შეთავაზების "სტარტ +" და "კომფორტი" კომბინაციის ღირებულება განისაზღვრება 29 ლარის ოდენობით, ხოლო კასპსა და სენაკში - 32 ლარის ოდენობით;
6. 4.3. ქვეპუნქტით განსაზღვრულ აბონენტებს აქციის ფარგლებში შეუნარჩუნდეთ ორმაგი შეთავაზების ღირებულება - 27 ლარი;
7. აქციის პირობებით რეგისტრაციის ან აქციის მოქმედების პერიოდში შეზღუდულია აქციის პირობებზე უარის თმის შესაძლებლობა. 4.2. და 4.3. ქვეპუნქტით განსაზღვრულ აბონენტებს, აქციის პირობები გაუაქტიურდებათ ავტომატურად, აქციის გაშვებისთანავე, ხოლო 4.1. ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირებს - მომსახურებების ინსტალაციის დასრულებისთანავე;
8. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება ორმაგ შეთავაზებაში ჩართული მომსახურებ(ებ)ის (ერთ-ერთის ან ორივე მომსახურების) დროებით შეჩერების შესაძლებლობა. დროებით შეჩერებისას მოქმედებს სტანდარტული პირობები;
9. ორმაგი შეთავაზების პაკეტის ან ორმაგ შეთავაზებაში შემავალი ერთ-ერთი მომსახურების სააბონენტო პაკეტის ცვლილებისას, ან ორმაგ შეთავაზებაში შემავალი ერთ-ერთი მომსახურების გაუქმებისას აქცია გაუქმდება აღნიშნული პაკეტის ხელშეორედ არჩევისას აბონენტი ავტომატურად კვლავ ჩაერთვება აქციაში;

10. აქციის მოქმედების პერიოდში არ არის შეზღუდული სატარიფო გეგმის ცვლილება;
11. აქციის ფარგლებში დარეგისტრირებულ აბონენტებზე ვრცელდება მომსახურების 18 თვემდე შეწყვეტისას სააბონენტო ხელშეკრულებით განსაზღვრული საშეღავათო ღირებულების პირობები;
12. აქციაში ჩართულ აბონენტს, მისამართის ცვლილებისას/რეინსტალაციისას სტარტ + და კომფორტი პაკეტის არჩევის შემთხვევაში, აქცია ავტომატურად გაუაქტიურდება მისამართის ცვლილების/რეინსტალაციის დასრულების შემდგომ;
13. იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიის ცვლილებისას მე-2 პუნქტით განსაზღვრული პერიოდი არ არის დასრულებული და აბონენტი დარეგისტრირდება ორმაგ შეთავაზებაზე, აღნიშნული მომსახურება დარეგისტრირდება წინამდებარე აქციის პირობებით.